

# მედიკალი

მ ბ ა თ რ ა ნ დ 1917

მიადება ხელის-მოწერა ფოკალ-კვირულ თუმარისტიულ

## „ეზეპის მათრასზე“

თვიურათ 1 მან., ექვსი თვით—6 მ., წლიურათ—12 მ.  
მისამართი: Тифлисть, Ольгинская, 6.  
С. Таваркиладзе.


### შინაარსი მე-36 ნომრისა:

ვირის ღვაწლი—ეშმაკი, მრევლი—მორიელი. გლეხი და  
მღვდელი—ფარაონი, გლეხის ნაამბობი—ივლიანე მტრეკი-  
ლაძე, ზუცესის არშეობა—კოგორტი, საღამო სინდისის  
თავისუფლებისა—მლაღვი, ზუცესმა რომ ზუცეს ლეკსი  
გამოუტეგა—დურბინდი, და სხვ. სურათები: ახალი მამა-  
როზელი, ლეკთა სინდისის თავისუფლებისა, ტენიკის  
განვითარება, ძალა საკურთხისა, ძველი მცნება, და სხვ.

## ახალი მახარობელი



კობე ფოცხვერაშვილი (საკლესიო კომისრი).



# ვირის ღვეწლი

კაცობრიობის წინაშე საღმრთო წერილის  
თვ ლსაზრ სია.

ვირის გაჩენა.

მოაზროვნე კაცობრიობა იღვსაჲ ორ ბანაკთ  
არის გაყოფილი „ვირის გაჩენის“ საკითხში.

ერთი ბანაკი ჯორჯ ვირენშტეინის წინამძღოლო-  
ბით ამტკიცებს ადამიანთა ვირებისგან წარმოშობას\*).

მეორე ბანაკი, იტალიელი ფილოსოფოსი ვირე  
ნდო კაცინის წინამძღოლობით, სრულიად წინააღ-  
მდეგ მოსაზრებას ადგია და ამტკიცებს ვირების  
ადამიანთაგან\*\* წარმოშობას.

ჩვენი რედაქცია არ ეთანხმება არც პირველსა და  
არც მეორე მოსაზრებას. ის უკომენტარიოთ იზიარებს  
ჩვენი უკვლავი მგონის სოლომონ ზურგი-  
ლიძის გამოკვლევას.

„ვირიც ვაჩნდა ქვეყანაზე,  
კაციც ვაჩნდა რა თქმა უნდა  
იმით შორის მსგავსებაც და  
განსხვავებაც დიდიაო.“

ამგვართ, ღმერთმა ორივე გააჩინა ქვეყანაზე; ვირი-  
ცა და კაცი. ორივეს თავ თავისი იდეალი აქვს  
ცხოვრებაში, თუმცა ხშირად მოხდება, რომ ვირის  
იდეალს კაცი ემსახურება, ხოლო კაცისას ვირი.  
კმარა, ჩვენ სოლომონის თქმულებას იოტის ოდენ-  
ის ვერას დაესქენთ: „იმით შორის მსგავსებაც და  
განსხვავებაც დიდიაო“.

ვირის ღმერთმა აუკრძალა უკანა ფეხებზე სი-  
არული, ღვინის სმა, სათვალეების ტარება, ბლალ-  
ჩინობა, და არჩვენებში მონაწილეობის მიღება; აი  
უმთავრესი ნიშნები განსხვავებისა, სხვა ყველაფერი  
ხელისაწყოშია, როგორც კაცისა, აგრეთვე ვირისა-  
თვისაც. მათ შეუძლიათ ლეკების, დრამების, მოთ-  
ხრობებისა თხოვნებისა და ტრაქტატების წერა;

\*) ამ მოსაზრებას ადასტურებს საქართველოში  
ქ. ზომ ხმარად ხმარებული მათემატიკითი სიტყვა „ვირია-  
კეაღა“

\*\*) ამის მკალითებისად ანა ერთსა და ორს ვხე-  
დავთ დღევანდელ ცხოვეთებაში.

შეუძლიათ მეფობა, მინისტრობა, გენერალთა  
კომისრობა და მეჯინობა.

ასე და ამგვარი პირობებით გააჩინა ღმერთმა  
ვირი. ისტორიას არა ერთი და ორი „ისტორიული  
ვირი“ სსოვს, სწორეთ ისე, როგორც ისტორიუ-  
ლი გმირი.

ვირით სამოთხიდან.

ვერავა ევას ლალატის შემდეგ, ვანრისხებუ-  
ლმა ღმერთმა, როგორც მოგვხსენებთ, სამოთხიდან  
განაძევა თავისუფალი მოქალაქე ადამი თავისი ეშე-  
კეული შეუძლიათურთ, მაგრამ, ვინაიდან სამოთხის  
გარეთ არ იყო იმ დროს არც რკინის გზა, არც  
საეტლო მინოსვლა, ხოლო ქვეითად მათი გაშვება  
გულმა არ უქნა, (რაც უნდა იყოს მისი ნახელავე  
ბი იყვედ) შეუკმაზა ვირი, შესვა ზედ\*) და ისე გა-  
ისტუმრა. ეს პირველი ვირია ისტორიის ფურცლე-  
ბზე გამოჩენილი. მის თენიერ-სათნოიანობასა და  
შეგნებას ყველა გონიერა ადამიანი უნდა უმაღლი-  
დეს, ვინაიდან თუ რომ მას ტლინკები შეეყარა  
და მხედრები დაემსხვრია, არცერთი თქვენგანი ქვე-  
ყნად არ იქნებოდა.

საუკუნოთ იყოს ხსენება შენი უპირველყო-  
ვრთა შორის.

ანძნამის ვირი.

ვინ არ იცის, რომ ებრაელთა მამათმთავარი  
აბრამი მხოლოდ და მხოლოდ ვირით დადიოდა.  
როგორც „აბრამის ბატანი“, ცნობილია აგრეთვე  
„აბრამის ვირიც“.

ეს ღმობიერი სხელწოდება უკვე სინონიმად  
გადაიქცა იმ თავისუფალ მოქალაქეთათვის, რომელ-  
ნიც თავისა ერთგულობით, მორჩილებით და სა-  
თნოიანობით ცოცხლად გვიხატავს ნეტარ ხსე-  
ნებულ აბრამის ვირს.


პატვი და დიდება ამ ვირის სახელსაც

ვირთ ჰროტესტანტი.

ებრაელები გაცილებით მეტს უნდა უმაღლო-  
დენ ვირებს, ვიდრე სხვა რომელიმე ერი. მათ ვ

\*) დღეს დაწმამიკე და მარჯერ პირებს ტუქაბ  
სკამებს და ასე გაჭყათ თანხიკა ქარხნუაღან.

# ლექცია სინდისის თავისუფლებისა.



**ქ. ფოცხვერაშვილი.** ვაი თქვენდა მწიგნობარო და ფარისევლო-ნო ორგულნო, რამეთუ ცრუმოდღებრებია თქვენითა აცდუნებთ მრავლთა.

**მღვდლები.** საჯენ უფალო მვენებელნი ჩვენნი და ბრძოდე ბრძოლათა ჩვენთა.

...და ივლტოდენ მოძღვლენი სიმართლისანი პირისაგან ლექტორისა მის...

რმა არა ერთხელ და ორჯერ ააცდინა განსაცდელი. ამ მხრით სინტერესოა „ვალაამის ვირი“.

როგორც მოგვხსენებთ, წინასწარმეტყველი ვალაამი უებრძანდა ვირზედ და წაივდა ებრაელთა დასაწყევად. გზა და გზა ის იგონებდა წყევლისხვა და სხვა ფორმულებს, რომ საბოლოოთ გაენადგურებინა ღვთისაგან ამორჩეული ვირი. მაგრამ გაგეონებთ ანაზა: „კაცი ბუმბდა, ღმერთი იცინოდაო“. ჯერ კიდე შუაგზად არ იყო მისული მრისხანე წინასწარმეტყველი, რომ ვირი გაჩერდა, ფეხი აღარ მოიკვალა. ვალაამი უფრო განრისხდა და დისციპლინის აღსადგენად ვირის წინააღმდეგ

რებრესიულ ზომებს მიმართა. არც ამ საშუალებამ გასჭრა. შემდგომ ამისა წინასწარმეტყველი მოლობო დაფიქრდა და ვირთან მსჯელობა გამართა. კამათის დროს აშკარად გამოიჩინა ვალაამის ყალბი პოზიცია ებრაელთა საკითხში. ვინაიდან ის არ იყო ფრაქციული პროპაგანდისტი, არამედ სრულიად დამოუკიდებელი მქადაგებელი, ვალაამი მშვიდით მივიდა ვირთან, ბოდლა მოიხდა მის წინაშე შეურაცყოფისათვის და სთხოვა გზის განგრძობა, მაგრამ არა ებრაელთა დასაწყევად, არამედ მათ დასალოცად. ვირმაც დაუჯერა და მშვიდობა თა და თანხმობით გასწიეს ერთი მიზნისაკენ.

### ება ვირისა.

### ვირი იოსებისა

მეორე ისტორიული მაგალითი და საარსებო დეწილი ებრაელთა ვრს უკვე უსულო ვირის ყბამ დასდო. თითოეული თქვენგანს, რომელსაც სდმართო სჯული გულდასმით უსწავლია, თავის საკუთარ თავში დააქვს ალბათ ევ ისტორიული ვირის ყბა.

ფილისტიმლიანები ყოველთვის აწუხებდენ და ავიწროებდენ ებრაელებს, როცა დროს უშოვნიდენ (როგორც ქურთები სომხებს) თავს ესხმოდენ და აწიოკებდენ. ერთხელ მათი თავდასხმა განსაკუთრებული სხიფათო შეიქნა და ებრაელ მებრძოლთაგან მხოლოდ სამსონ ძლიერი გადარჩა, მაგრამ ისიც უიარალოთ. განსაცდელი ერისა და მით უმეტეს სამსონისა აშკარა იყო, მაგრამ ბედი არ ივიწყებს თავის რჩეულს. გააფთრებულმა სამსონმა თვლილი მოჰკრა იქვე ახლოს უბატრანოთ მიგდებულ ვირის ყბას, დასტაცა ხელი, მრისხანეთ დაერია ფილისტიმლიანთა უთავალავ რაზმს და გაანადგურა იგი.

ვუსურვოთ, ვისაც ეს შეეფერება, გასაჰირის დროს თითო ასეთი ვირის ყბა.

### ვირი სამარიტელისა.

ვირს, როგორც მოგახსენეთ ყველა დარგში მოუძღვის სამსახური და ნუ გაგაეკირდებათ, თუ აქ ქველმოქმედ ვირზეაც ჩამოვადგო საუბარი.

მოგახსენებთ ვერაგმა ყაჩაღებმა (დებურტირებმა) გაბარტყეს მგზავრი და გვემილი გზად მიავდეს. ვიარა რამოდენიმე ბურჯუამ, შეხელა, მაგრამ დახმარების ხელი არ გაუწოდა. სწორეთ ამ დროს მოდიოდა პროლეტარი მოწყალე სამარიტელი. ის მყისვე ჩამოხტა ვირიდან, იხყენა ფრთხილად მოყვასი იგი, შესვა ვირზე და მიიყვანა სასტუმრომდე.

პირველი შეხედვით ეს კეთილი საქმე თითქო მარტო სამარიტელის ნამოქმედია, მაგრამ ვინც კარგათ ჩაუვირდება ვითარებას, ის აშკარათ დაინახავს სინამდვილეს და მინიჭებს „სამარიტელს სამარიტელისას, ხოლო ვირსა ვირისასა“.

ვერაგმა მეფე ეროდემ განიძრახა ყრმა იესოს დატყვევება, რომ მით ძირშივე აღმოვეფხვრა უფლება „მეტყვისა ურიათა“. იოსებმა დროიანად გავიგო ბოროტი განძრახვა მეფისა და იშოვა ვირი, შესვა ზედ ოჯახობა და გაისტუმრა ეგვიპტისაკენ. მეფის ბრძანებისამებრ „მოსრნეს ყოველნი ყრმანა“. მაგრამ იესო მათ შორის არ ერია. თუ არა მშვიდი და უწყინარი ცხოველი ვირი, რომელმაც იტვირთა წმინდა ოჯახის ეგვიპტემდე გადაყვანა, ჩვენ არ გვეყარებოდა არა თუ მაცხოვარი ჩვენი, არც ერთი მღვდელი და მთავარ-დიაკონი.

### ვირი იესოსი.

ქართველი კაცი საზოგადო სამსახურს ისე გაუბრის, როგორც მართლ მორწმუნე თათარი ღორის ხორცს. მიზეზს რომ ჰკითხავ გეტყვის: — იმუშავებ, იმუშავებ, ბოლოს გაგლანძღავენ და ისე გაისტუმრებენო.


შეიძლება ქართველ მოღვაწეებზე ეს მართალიც იყოს, მაგრამ ყველა ვირის მოღვაწეობაზე ამისი თქმა არ შეიძლება. ჩვენ რამოდენიმე საქმეწინა დეწილი ვირთა აღენიშნეთ და სამართლიანობა მოითხოვეთ მათი დეწილი ჯეროვანად დეფისბულიყო. ასეც მოხდა.

მალდიერმა ებრაელთა ერმა დააფასა მათი დეწილი და განსაკუთრებული პატივით შემოხა იესოს ვირი. მოგახსენდებთ, რომ დიდმარხვის მეექვსე კვირას იესო ვირით იერუსალიმს ეწვია. ხალხი დიდის ზემიითა და აღფრთოვანებით შეეგება მას. არ გამარჩა ხალხის ყურადღებას არც ვირი იესოსი. აღფრთოვანებული ვირი ბზის ტოტებსა და ყვავილებს უფენდა მას ფეხ-ქვეშ, რათა დემეტრიცებია უზომო მისდამი სიყვარული.

ბედნიერია ის, ვინც სიცოცხლეში მოიმიქნის მის მიერ დათესილ სიკეთეს!

### ვირის უყსი.

ისტორიამ ვირის ფეხსაც დიდება და პატივი არგუნა. ქრისტიანობის მიღების პირველ ხანებში რუსეთს ბერი ბერძენი ეწვია. სტუმრებთან მოიტანა ვირის ფეხი სათუთ ამანათად შეხვეული.



— მართლ მორწმუნენო! ესე არს ფეხი იმ ვირისა, რომლითაც ყრმა იესომ იმგზავრა ეგვიპტემდე, სასწაულოთ ვადარჩენილი ვახრწნისა და დაკარგვისაგანო განაცხადა სტუმარმა და აუწერელი სიხარული გამოიწვია მღვდელ თვავართ შორის. ბერძენი სტუმარი ბრწყინვალეთ მიიღეს, უხვათ დაჯილდოვებს და პატივით გაისტუმრეს სამშობლოსაკენ.

სასწაულის ხმა უცებ მოედო მსოფლიოს და აი რუსეთის ახალგაზრდა ეკლესიის ახალი ბერძენი ბერი ეწვია ვირის მეორე ფეხით. რელიგიურმა სიხარულმა იმატა. ბერი უმეტეს უხვათ დაჯილდოვს, მეტ პატივი სცეს და გაისტუმრეს საბერძნეთს.

მაგრამ არ გასულა არცა წელი ერთი, რომ გამოცხადდა ახალი ბერი ვირის მესამე ფეხით და უარესი აღტყინება გამოიწვია მართლ-მორწმუნე რუსის სამღვდელთა შორის. საჩუქარი და პატივი მისი პირველი ორისას გადაეპარბა

ამით გამხნეებული მეოთხე ბერძენი ბერიც ეწვია რუსეთს და თან მოიტანა მეოთხე ფეხი ნეტარ-ხსენებული ვირისა. ამან ხომ ცთამდღ აიყენა ქრისტეს მოყვარე სამღვდელოება რუსეთის მართმადიდებელი ეკლესიისა და ხელგაშლით დასაჩუქრა მან უკანასკნელი წმინდა ბერიც.

სასწაულმა ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა! გამოცხადდა ახალი ბერი და თან მოიტანა მეხუთე ფეხი ვირისა, რომლითაც ყრმა იესომ იმოგზავრა ეგვიპტედ, ხალხი განცვიფრებასა და სიგონებელს მიეცა. ყველას გაუგონია:

ვირი ორფეხი, როცა იგი ადამიანის სახით გვევლინება.

ვირი სამფეხი, როცა ნამდვილ ვირს ერთი მოტეხილი აქვს.

გაუგონიათ ჩვეულებრივი, ოთხფეხი ვირიც. მაგრამ არაფერ არ იცოდა არსებობა ხუთფეხი ვირისა, და აი ამ მძიმე საკითხის გადასაწყვეტათ მოწვეულ იქმნა „საეკლესიო სობორი“, სამღვდელთა კრებამ მსჯელობა იქონია ვირის მეხუთე ფეხის შესახებ და დაადგინა:

ვინაიდან განრიდება იესოსი ეგვიპტედ იყო სასწაული ღვთისა. სასწაულთ მოქმედ ვირს უეძღება ჰქონოდა მეხუთე ფეხიც\*ო. და მიიღო ძვირფასი ძვენი ბერძნისა.

ამით რასაკვირველია არ თავდება ღვაწლი

ვირთა კაცობრიობის წინაშე. მე არაფერს ვამბობ იმ ღღესასწაულის შესახებ, რეწმუნე ეწაფებოდა დასავლეთ ევროპაში ვირთა პატივის საცემლად, ვინაიდან ეს შეეება უკვე ადამიანთა მოღვაწეობას ვირთა ცხოვრებაში.

არას ვამბობ იმიტომ, რომ წერილი ისედაც გამიგრძელდა, როგორც მოთმინება ვირისა და იძულებული ვარ შეეწყვიტო.

შემდეგშიც მოგვეცემა შემთხვევა მათ მოღვაწეობას დაუბრუნდეთ.

ეშმაკი.

## ა ხუცესო.

- ა ხუცესო კორკოტი, თუ ამისთვის მობოლი.
- ა ხუცესო სეფისკერი, თუ ამისთვის გეწვის წვერი
- ა ხუცესო ხაჰაური, ტყეში გნახე გაქვაპული,
- ა ხუცესო ღვინით ღოჭი, ისეც გაწყდეს თქვენი ქოქი!
- ა ხუცესო ცხერის თავფეხი, გნახე კისერ მონატები;
- ა ხუცესო ქათმის მკერდი, აღდგომამდის დამიბერდი.
- ა ხუცესო ცხელი ქურა, ეშმაკებმა გაფხაკურა.

## მ რ ე მ ლ ი

მამა ანთიმოზ ბურჯინაძე უკვე ის აღარ არის, რაც ამ ორმოციოდ წლის წინათ იყო. წელში მოიხარა, სახეზე მილონი ნაოკები დააჯდა, ძვალ-ტყავათ იქცა, ხელ-ფეხი უცახცახებს და მასთან ერთად მხედველობა მსმენელობაზე უაღალოტა.

ვისაც მისი ახალგაზრდობა ან უკეთ ვსთქვათ კურთხევის ღრო ასრავს, ის მწუხარებით აღნიშნავს მის ამგვარ დაჩაჩანაკებას. ახალგაზრდობაში ანთიმოზ ბურჯინაძე თვალი იყო თავისი მრევლისა. მასზე სიამაყით ამბობდენ ონკიეთის წმინდა კვიციანე შეგავლანი:

— მღვდელი თუ გეყოლება ქე უნდა გყავდეს ასეთი. სამი დღე ისე ზის ქორწილში, რომ ერთს არ წამოდგება. ნეტავ სად ასხამს ამდენ ღვინოს ეგ ოჯახ-აშენე\*ული.

— კაცი მართლ ღვინოს რომ უძღებდეს ეგ

არაფერია. ერთი ცხვარი მისთვის ზაკუსკა და სადლის პოლოს ერთი ხარის ბეჭი ხომ აუცილებელ პორციათა აქვს მიღებული.

— მოგცეს ღმერთმა ლხინში, -დასძენს კიდევ სხვა — მთელ მაყრიონს ისე დააქალაქებს, როგორც მოწამლული თევზი.

— ერთი კია, რომ მას უღუფას, რაც ხეთისგან ერგება არ შეგარზნეს და მქტარი ოჯახში რომ დაგიღპეს არ წუუძღობა, თუ რაც ერგება წინდარწინ არ მიეცი.

— კიდევ იმიზა აქ ისეთი მსუყე ოჯახი.

— ცოლი ეჩხუბება ცოტას; ნუ დაძვრები სხვის ოჯახებშიო, მარა რა გააჩერებს ამფერ ტახს.

— ცხრაი უღელი, რომ დაადგა ვერ დეიქერს. მართალია ანთიმოზ ხურჯინაძეს სწავლა სრულიად არავითარი არა ჰქონია, იცოდა მხოლოდ ხელის მოწერა, მაგრამ სამღვდლო ღირსებებით დიდთ შემკლიო იცი. სიმღერა, მოსწრებული სიტყვა-პასუხი, ლოკიანი ტოლუმაზობა, ჰემა სმა „დიდათ შესარგი“, მაყრობა, ქელეხში ჰირისუფლების გამზიარულება და ხშირად მრავალკამიერის შემოძახებაც, საეკლესიო წესებისა და ადათების დაცვა; ერთი სიტყვით მღვდელი იყო ისეთი, როგორც შეეფერებოდა მდიდარსა და მორწმუნე ონქიქეთის წმინდა კვირიკეს მრევლს.

მაგრამ ეს იყო ძველათ, როცა ანთიმოზ ხურჯინაძე ყვაოდა როგორც ვარდი და მის ჟირღილ ლალისფერ სახეს კუპრივით შავი თმისა და წვერ უღეაშის უღრანი ფარავდა. დღეს მისი შეხედვა უნებღიეთ მოგაგონებს ძველ თავადურ დარბაზს, რომელსაც თავის დროზე მრავალი ლაღი ჰქიფი და მზიარული დღეები განუცლია, მაგრამ დღეს ძველ პატრონთაგან მიტოვებული ცარიელ სამარესავით სდგას გამფლულთა წინაშე მწყანე ხავსითა და ნოტიო სუნით ვარემოკული.

— რვაისი მანათი ისე მერგება, როგორც ერთი შაური — აკანკალებული ხმით უთხრა მამა ანთიმოზმა ბუხართან ჩამომჯდარ იორდანე ბრუტაძეს. — არ უნდა დაგავიწყდეს შვილო, რომ ასეთი შენახული მრველი მეორე არ არის მთელ ეპარხიაში.

— კი მარა, მამავ, ჩემს ოჯახსაც უნდა მიხედო. რვაისი მანათი შენ, ხუთასი ყოვლად სამ-

ღვდელს ორასი კიდევ იმას დაგავიწყდეს კაცი.

— „იმას“ კიდევ აძლევ ორას მანათს? ცნობის მოყვარობით შეეკითხა მხუცი მღვდელი.

— რავე, არ იცი ვითამ ისე მკითხავ? ეფისკოპოსთან მე ხომ ვერ წაედგები და ვერ ჩაეჩრხელში ქთამს. საქმეს ერთი ღამეში ქალი მირიგებს, რომელიც ძლიერ დაახლოვებულია მასთან.

— კიდევ არ დაანება მაგ შეჩვენებულმა თავი ამ ქალების დევნას; შურით წარმოსუქვა ანთიმოზმა. — აბა რა გინდა ახლა შენ ჩემგან? ას მანეთს კიდო დაუკლებ. თუ ზარალია ის ორასი მანათი ნახევარი შენ ოხარალე, ნახევარს მე. შეგიდას მანეთზე ერთი შაურის მოკლება არ შემძლია. თუ იყოს შენთვის ანგარიში ქე იყიდე, თუ არა და. მშვიდობის გზა მოგცეს ღმერთმა

— ნუ დამიქვე ოჯახს, მამაო ანთიმოზ, ნუ დამაფხებ. ეს ბიჭი ახლა თუ არ ვაჟურთხე სამუდამოთ დელიუბება. შენც კი იცი რამდენი ხარჯი მიმიძღვის მასზე, რომელი შკოლა გინდა ის არ მივადლები, მარა ქე იცი არსა არ ივარგა. ახლა ჯერი ამ საქმეზე მიდგა და შენ ხელში ვარ, რასაც გინდა იმას მიზამ.

— შვილო იორდანე, ახლა ხომ არ გავიციწვი ვარ. ჩემი ამბავი კი უნდა იცოდე. მართალია პენცია მაქვს, მარა ჩემს ცხოვრებას იგი არ ეყოფა. მე ჩემსას მოვიტოვებ. შევიდასი მანათი ასეთი მრველისათვის ერთ შაურს უღრის.

— ვიცი, მამაო, მრველს არა უშავსრა.

— როგორ თუ არა უშავს რა? არა უშავს კი არა, მთელი საექსარხოსოს თვლია. აქ ღმერთიც სწამთ ჯერჯერობით და მღვდელ-დიკონიც. შენ რა იცი რამდენი შრომა დამზიარჯავს, რომ ხალხს ღვთის მოყვარება და მღვდლის პატივისცემა არ დაეკრება. ყველა ამისთვის შენ შევიდასი მანათის გამოლება გედიდება? ვაი დედასა, რომ სხვა მღვდელთან არა გაქვს საქმე თორემ ნახავდი რამდენ ასიანებს დაგაკვეცილებდა.

— კი ღავკარპლავდი რომ მქონდეს. ვისესებ კიდევ, რომ მერე გადახდას შევიძლებდე...

— რატომ ვერ შეიძლება. ასეთი მრველი ხელში გექნება და შევიდასი მანათზე ფიქრობ. სირცხვილია, სირცხვილი შვილო იორდანე.

— შენსავით ფხიანი რომ გამოდგებოდეს ვერ ოხერი დიდარდებს, მაგრამ ამ ბიჭის იმედი არ მაქმთელი ვალი მე დამაწეება კისერზე.

— ნუ გეშინია, შვილო ფებს რომ მოიკიდებს, მერე თვითონ გაიკლავს გზას. ჩემსუც ასე ამბობდა საწყალი მამაჩემი. რა უჭირს სამბავისო, სიმღერა, ჭამა-სმა, ამყლის აყოლა და დამყლის დაყოლა მშვენიერათ შეუძლია, მღვდელს შეტი რა უნდა. შვილს მანათს დრო მოუვა ერთ თვეში იზონის.

— შაქარი შენს პირს, მამაო, თუ კი ასე იქნებოდეს, მარა რაღა ექნა შაქინ, რომ...

— თუ არ ივარგებს და არ მოეწონება ადგეს და თვითონაც გაიკლავს. ათას მანათზე არაფერ და აღაპარაკებს. შენ ჩემთან გიმსახურია ამდენი ხანი და გიცნობ რაეაღც პატიოსან პრიეტენიკს, თვარა სხვის ათას მენეთზე ფებს არ მოუტყვილი.

— ყორღიელი კი მოგცეს ღმერთმა. ჩემთვის სიკეთე არ დავიკლია, მარა თუ შიშმა ბარემ ქე მიქენი. შემადღებზე რამე ფრათ.

— რა ექნა, შვილო, საშარვე ტილოს ზომ არ ყიდულობ კავციკობით რომ ვივაკროთ. მრევლი მიგაქცისეთი, რომლის ბადალი მეორე არაა ჩვენში. თუ მოიხმარ ავაშენებს. აქ ფიქრი და ყუყმა იმ ღვთის გამობას უდრის. იფიქრე და რაეაღც დავიკლებ.

— ფიქრზე არაა, მამაო და კეთილო, ჩემი საქმე. საქმე შეძლებაზეა. მიქენი იმდენი სიკეთე, რომ ანგარიში ძროხა და ასი მანეთის ვექსილი მიიღე.

— არა, ჩემო იორდანე, საღვთო წყრილში ასე სწერია: მიეცი კვისარს კერსის დი მღვდელსა მისიო: თუ შეგინდა ის ძროხა ფვისკობოზს მიგვარე, მე ჩემიკ ვერ მომიხმარა და მე როცა მომიტან ნაღდმფულს შვილასიანს, ჩემ მრევლს შენ შვილს გადავსცემ.

— რა ექნა, რა წყალში ჩავარდე ახლა იმის შემოსვას კიდევ ორასი მანეთი აფერს არ უზამს.

— კაცო რა ჯანჯალი ყოფილხარ შენ. შე მოსავისო რომ ამბობ, ცოლი ხომ უნდა ითხოვოს. როცა გაიგებენ ონქიკეთის წმინდა კვირიკეს მრველი მისი იქნებაო, ისეთ ქალს იშონის, რომ ათას მანათობით მხოთვი და საქონელი მოჰყვება. საქმეს ანგარიში და გახედვე სჭირი. ჩემო ორდანიე, ანგარიში და გახედვა.

— გულებდე, გამუხედე, მარა ვერაფერი გაუტე — ამა ბრმაი ყოფილხარ, შვილო, ხალხი ქველიანია, ტყვილათ კი არ დაგარქმევდენ გვართ ბრუტძეს, ამასაც თავისი სავანი ექნებოდა.

— კარგი, კარგი, მამაო, შენცაა ჩელი. რაც დამემართება, დამემართოს. შენცაა ჩელი, მამაო, შენცაა ჩელი, შენს კუთვინლს და შენი იმედი შექნება, ამ საქმეს როგორ მომიკვარაქინებ.

— მე ჩემს დახმარებას ისედაც დავებმარებოდი. შენს შვილს კარგა ხანს დასკვირდება ჩემთან მსგავსა, გზის ვასაკაფავთა. მე მხოთა ვარ.

— მშვიდობით, მშვიდობით, მამაო ანთიმოზ. მშვიდობით ვამყოფოს წმინდა კვირიკეს მადლმა და მამა ზეციერმა მოგიმართოს ხელი.

კვირიკობა დღეს ონქიკეთის წმინდა კვირიკეს ეკლესია ხალხით ვაქედელი იყო. დღეს მწირველი ბრძანდებოდა ახალი მოძღვარი სოფლის ათანასე.

ეკლესიიდან გამოშლილი ხალხი ბებერი ცაცხვის ქვეშ ჯგუფთ ჯგუფად შოგროვდა და ვაცხარებული სჯა ბაასი გიძართა.

— ხმას არაფერი უშავს მგონია, დაიწყო ერთმა.

— ხმაი, რაე, სიმღერა და მოღება მაგის შოგონილია. ხანს გოდრით დავსო რომ იტყვიან ისეა.

— ჭამაში მოგცეს ღმერთმა.

— სუფრაზე მართლა რომ ერთ მაყრათ ღირს.

— მაგან მგონი ორი სავი ღერი რუსულიც კი იცის.

— რუსული არაფერია, ვაეო, სხვაფერ თუ ივრგა.

რომ არ ივარგებდეს არც აკურთხებდენ, ჩაერთა ლაპარაკში სტაროი როსევა.

— თუ დახარჯავ ბილი, თი იმასაც ქე გიკურთხებენ. გესლიანათ წარმოსთქვა კირილა კორკოტანიძემ და ხელი იქვე ახლოს მიბმულ ანთიმოზს ათერთა ჯორისაქენ გაიშქრა.


მართლა მისოულობა კი მიაშუქა საწყალმა იორდანემ. ცხრაასი მანეთი ევისკობოზს მისცა, ექვსასი ვიცხა როსკიბ დედაცაც, ათასი ანთიმოს ხუტესს და აკურთხა-აკურთხა აიუნეიკო ყახილარი.

— უნიკოო ჩივი, რაეა პროფესორათ კი არ უნდა ბილი. რაცა ორი აღილულია ქე იცის და მგტი რა ვეითხება.

როცა ეკლესიიდან ანთიმოზ ხუტესი ვამოვიდა, ყველამ ამოიკიბან მის სახეზე ღრმა მწუხარება დღევანდელი დღისა.



# ტენსიკის განვითარება.



**ბუცესი.** სამოთხეში შესვლა უფრო ძნელია, შვილია, ვიდრე აი ამ ნემსის კუნწში გაძრომა.

...ხოლო რომელმან განიღოს ქანქარი საჭაო, განელოს მას კუნწი იგი ნემსისა.

## გლეხის ნაამბობი

მე გლეხი ვარ ბედკრული  
ყოველის გზით შეკრული,  
ყველას მდაბლად თავს ვუხრი,  
ვკრთი, ვითარცა შელის ნუკრი.

მოვხან შინდორ-ველები,  
არ დავხოჯე ხელები..  
და ღეთის საოყვანები,  
მოვიწვიე ყანები.

ვსტკვი:—ახლა კი მეშველა!  
არ ვივლი ფეხ-შიშველა.  
მოვასვენებ მკლავებსა  
ჯაფით მონაკლავებსა;  
მაგრამ ფიქრი წამიხდა!  
ცოლი ავთ გამიხდა.

ის დაწვა, ვეღარ ადგა...  
ქარზე მღვდელი მომადგა.

მითხრა:—რათა ხარ ბეცი,  
ცოტა რაზე მომეცი,  
წიგნს ვუკითხვე გრძნულსა  
და განეკურნებ სნეულსა.

რასაც ვსთხოვ ლოცვაშიო,  
მომისმენენ ცაშიო.  
თუ მომცემ ხუთ კოდ პურსო,  
გაგიწვე სამსახურსო.

მართლაც გავხდი მე ბეცი  
და რაც მთხოვა მივეცი.  
ცოლი მყისვე მომიკვდა...  
(ლოცვა ასე მომიხდა)

რო მომიკვდა ცოლია,  
მღვდელს გულთ წამოსწოლია...



# ძალა საკურთხისა.



**ჭირისუფალი მარინე.** ღმერთო შენ გამინათლე სული მიცვალებულისა ჩემისა...

**მოძღვარი.** შეიწირე უფალო მსხვერპლი ესე ცხოვნებად მიცვალებულისა ამის შენისა.

ლამის ჯავრით მომკვდარა,

ვიცივით წამომდგარა

და მომადგა კარზედა

ხელი უძვეს ჯვარზედა.

ვითომ ძლიერ სწყენია

ბედის განაჩენია.

მითხრა რა სამძივარი,

(სახე უჩნდა მღიმიარი!)

ერთი ამოიხვნეშა

და ასე მანუგეშა:

მკვდარს რა უნდა ხომ იცი?!  
საწირავი გოჟუცი.

თან „საკურთხიცი“ სულ ადგი.  
საწყალს თავისს სულიადი

არ დააკლო წლამდია

თუ ცხონება გწადია.

მე გული დამეღონა.

(ეგ სიმართლე მეგონა!)

ესთქვი; - თუ ჭამა სჭირია

ეგ რა გასაჭირია?!

ვუზიდვეი იღლია,

ჩიტის რძე არ მიკლია.

ხილი გინდა როგორი,

ხაჭაპურის კოკორი,

ვაშლი, ბია, ატამი

თუ შემწვარი ქათამი.

ღვინოს, სადღეგრძელოზე,

სვამდა მღვდელი გემოზე.

სულ რეჩებს აღრმავებდა

და შითი მამრმავებდა.

— მკვდარს ეგ რაში არგია!

ან რა ვირის ბარგია



ოჯახი შევარდნით  
 და მღვდლები შევასუქოთ?!  
 მაშინ ჩაეხვედი სავანსა,  
 როცა ქათმის კეანსა  
 ეზო გამოეთხოვა  
 და მღვდელმაც მიმატოვა  
 მაგრამ დარჩა გვიანა,  
 ისე დამაზიანა,  
 რომ ჩემი გასწორება  
 შევიღი შევიღს ეწორება.

ივლიანე მერკვილაძე.

### მგელი დაცხენ.

მგელი დაცხენ მგელობას  
 სოფელში მოგვცემ მღვდელობას  
 საკმელი მეტი გექნება  
 თუ შეითვისებ ხელობას.

### ხუცესის არწივობა.

(ხალხური)

ხუცესმა თავის მრევლში ერთი ქმრიანი ქალი  
 მოინადირა და საყვარლათ გაიხიდა. ყველაფერი  
 კეთილად წაივინა, ოღონდ ქალის ქმარი აქივრებდა  
 საქმეს: მუდამ სახლში ჯდომით შეყვარებულთა  
 ერთმანეთთან შეყრას ხელს უშლიდა. ხუცესის  
 რჩევით ქალმა ავითმყოფობა მოიგონა და ქმარი  
 შორს აქივრებდა წამლის მოსატანათ გაგზავნა. ქმარს  
 გზაში გულთ მისანი შეხვდა და უთხრა:

— შენი ცოლის ავით გამხდომი ისევ შენ სა-  
 ხლშია, ესღავე უკან დაბრუნდი და შენ დამლუჯვე-  
 ლსაც დღესვე დაიქურო. ქმარი მაშინვე უკან და-  
 ბრუნდა, იმავ საღამოს თავის სოფელს მოაწვია.  
 ვიდრე ქმარს ეს ამბავი შეემათხვეოდა— ქალი თავის  
 სამზადისში იყო. საუცხოვო ვახშიმი მოამზადა:  
 ერთი ღივი დოქი წითელი ღვინო ამოიღო, მოზ-  
 რდილი გოჭი შამფურზე შესწვია, კარგი დედალი  
 ჩააბარშოვა, ერთი ცხრა ხაჭაპური დაატო და  
 ყველა ეს სუფრაზე დააოჯავა.

მალე ხუცესიც მოვიდა, „შეყვარებულნი“,  
 მზა სუფრას შემოუხსნენ და დიდებული სმა-ქამა  
 გაიმართა. ამ დროს კარზე ვიღაცამ დააკაკუნა.

ქალმა „სავანგებო“ ქუთუთანაში გაიხიდა და რო-  
 ცა დაინახა, რომ დაგვიანებული სუფრის მსთვის  
 საშიშარი არაივნ იყო, ჰკითხა: რა ხდება? სტუ-  
 მარი სოფლად მავლი მათხოვარი აღმოჩნდა და  
 ღამის გათევა ითხოვა. მათხოვარი შემოუშვეს და  
 სუფრის ბოლოს დასვეს. ცოტა ხნის შემდეგ ვიღა-  
 ცამ, კიდევ დააკაკუნა. ქალმა კიდევ გაიხიდა, მაგ-  
 რამ ვაი ამ ვახუნდვას, სტუმარი მისი ქმარი აღმო-  
 ჩნდა. ქალი შეშინდა, მაგრამ მალე ხერხიც გამო-  
 ნახა. ხუცესი კუთხეში მიმალა, თავზე ღივი ბოკვი  
 მიადარა, სუფრა გადააოჯავა და თვითონ კი საჩქა-  
 რათ ისევ ავადმყოფობა მოიგონა და ღოგინში  
 ჩასწვია. მათხოვარი დასტუქსა და უთხრა, თუ რამე  
 გაგიმხელია იცოდე კარში გაგადგებო. ვინც აკა-  
 კუნებს ჩემი ქმარი: კარი გაუღე, შემოუშვი,  
 მაგრამ იცოდე, რაც აქ ამბავი იყო არამც და არამც  
 არა სუქვაო. მათხოვარიც შეპირდა, სახლის  
 პატრონს კარი გაუღო და სთხოვა: საწყალი კაცი  
 ვარ შენმა ცოლმა ღამის გასათევათ დამაყენა და  
 ნურც შენ მეტყვი უარსო. კაცმა მათხოვარს ახედ  
 დახედა და განცვიფრებაში მოვიდა:—ნუ თუ ეს  
 არის ჩემი ცოლის ავით გამხდომი გულთმისანმა რომ  
 მოთხრაო?

—ქალო, წამალი მოგიტანე.—უთხრა ქმარმა  
 თავის ავითმყოფს,—ოვი დილას უნდა დავადვირო  
 ახლა კი გვებ რამე საკმელი გაქვს საღმე შენახული,  
 მაქანე შიშლით ფეხზე ველარ ვდგებო.

—გუშინდელი ქალი ეგრე თაროზე, იქ კი  
 ხახვი შენახული და შენც სჭამე და მავ სტუმარ-  
 საც გაუზიარო: მიუფო ქალმა.

—ქმარმა ქალი ცეცხლს მიუფიცა, ხახვს რჩევა  
 დაუწყო და მათხოვარს გამოეოჯავარა.

—თუ კაცი ხარ, სინამ ეს ქალი გათბებოდეს  
 ერთი რამე ნითხარი, სოფელში დიარები და ახალი  
 ამბავი გეცოდინება.

მათხოვარმა დაიწყო:

—ერთხელ ჩვენი სოფლიდან ძლიერ შორს  
 წაივდი და ერთ მთაზე რომ გადავიდოდი უცნაური  
 წვიმა მომეწვია. იწვიმა, იწვიმა, იწვიმა, მაგრამ წვი-  
 მა ისეთი წითელი იყო, როგორც აი იმ დიდ დოქში  
 რომ წითელი ღვინო სდგას. მეომე ითოვა, ითოვა,  
 ითოვა, სწორეთ ისეთი თვორი, როგორც ქალბ-  
 ტონს რომ ხაჭაპურები აქვს შენახული. შემდეგ  
 მოუწმინდა, გაჰყინა ყველაფერი, მიდამო ისე გაშე-

# ძველი მცნება ახალ დროში.



...**მოდღარი**, ვეყვარებოდეთ ურთიერთს, რათა ერთობით აღვიარებდეთ...

...**ქმარი**. (დიდი ლოდინის შემდეგ) ღმერთი კეთილს როგორ დამაყრდა, თუკი ჩემს ცოლს ამდენი ცოდვები ჰქონდა საიღარებო!..

შედა, როგორც ქალბატონს რომ გოჭი აქვს ეგერ შემფურზე შემწვარი და გაშვებული. უცებ შზე გამოვიდა ყველაფერი დაღღა და ჩაყვითლდა, სწორეთ ისე, ეგერ რომ ხარშო არის შენახული.

— რას ამბობ კაცო? გაკვირვებით შეეკითხა მასპინძელი მათხოვარს. — ვკონებ სტყუი, მაგისაინა ამინდი ჩემ სიკაცხლეში არ გამიგონია და შენ საღ ნახე?

— ოჰ, შეჩვენებული ვიყო და იმ ხუცის მაღლი გამიწყრეს, ეგერ რომ ბოყვ ქვეშ არის, თურომ ტყუილს ვამბობ! — მიუფო მათხოვარმა.

ახლა კი ეგაშნიკა მასპინძელს გულთმისანის სიტყვები; ბოყვდან ხუცესი გამოათრია, კარგათ მიბეგვა და სახლიდან პანდურისცემით გააგდო: ამის

შემდეგ „ავადყოფიც“ ისე მორჩა, რომ ერთი წვეთი წაშალი არ დასცივრებია.

—ერი ჰაა! სწორეთ ამაზე გამოუთქვამს ხალხს:

—ეს ხუცესი დავითხოვოთ, ჩენსას ნუ დაიარება, არც გვინდა წირუა იმისი, არცა. იმის ზიარება, ჩვენ რომ საყდარში გვგონია, ქალებში დაიარება.

ჩაუწერილი **ჰოგვჩინის** მიერ

## მზეო ამოღი.

მზეო ამოღი, ამოღს,  
ნუ ეფარები გორასა.  
სამშობლს გლახაკი მოუქლავს,  
მღვდელი წმენდს ანაფორასა.

# სლამო სინღისი თავისუფლებაში.

თფილისი, 1917 წ. 22 მაისს.

შუადღის თორმეტი საათი იყო, როდესაც საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიის დროებითი მთავრობის კრება ერთი თავისი წევრის დიდწინამძღოლად მოხსენებას ისმენდა: წმიდანო მამანო, იტყუადა მომხსენებელი, ვერაფერი სახეირო რამ გამოვიდა ეს ჩვენი ავტოკეფალია. იგი ჩვენთვის ძველ რეჟიმზე უარესია და თუ გვსურს საქმე გამოკეთდეს, დროა გონს მოვიდეთ. თუ რეგულიუციამ გიმთარჯეა, რაც დემრთმა ნუ ჰქნას, პირველ ყოვლისა ჩვენ დავიღუბებით. სხვას რომ თავი დავანებოთ ჩვენი ერთადერთი მომხრე ბურჟუაზიაც გველატობს, ყველა დემოკრატიული პარტიები ეკლესიის სახელმწიფოსაგან განყოფის მოითხოვენ; ეკლესიას უნდა ჩამოერთვას ყოველივე უძრავ-მოძრავი ქონება, ფული, მიწა-წყალი, ძვირფასი ნივთები, ჯამაგირი, პენცია, ჩინი, ორდენი.—და ამა თუ ეს ყველაფერი მოხდა, განა ჩვენზე ვინმე უბედურია შეიძლება წარმოვიდგინოთ?

ეკლესიაში არც უწინ დადიოდა ბევრი სიკეთე, ახლა კი სულ მარტანი დავჩაი. ბევრი ვინკლე-სიო წესი ჩვენში დიდი ხნიდან მოსაზიბილია, აწი კი მათი ნაშთებიც განსკრებიან. მოისპობა: ზიარება, ნაივლა, მირონცხება, ჯვარის წერა, დამარხვა, პანაშვიდი, ზეთის კურთხევა, სულის მოსახსენებელი წირვები თავისი ცხვირის სათბილოებით და, ასე წარმოიდგინეთ, თვით საკურთხოზიაც, წითელი ღვინით, შემწვარი ვარიებით და კოკრებით...

დარბაზში სამარისებური სასოწარკვეთილი სიჩუმე ჩამოვარდა.

...ტული სურათი დაგიხატეთ,—განაგრძო მომხსენებელმა,—მაგრამ ნება მიბოძეთ ხსნის გზა გიჩვენოთ და სამოქმედოთ მოგიწოდოთ, არა მგონია, რომ დღევანდელი ჩვენი უმწეო მდგომარეობა მართო საყოველთაო ხალხის გამოფხოზღების შედეგი იყოს. რაც უნდა: გაათავიციებოდნენ საერთო მისა, კიდევ დარჩება ბნელი კუთხეები, სადაც შეგვიძლია თავი შევავაროთ და „განვძლეთ კამადითა“. ამას გარდა, ცდა ხომ ბედის მომანხვერვა, და ისიც ვინაჯაოთ, ეგებ ამ არეულობის დროს, საერთო მდგომარეობით შექუზებული ხალხის ნაწილიც როგორმე მივიშროთ. გადავშალოთ სახარება და იქედგან, როგორც გიჩვევია ის დავამტკიცოთ, რომ სივ სრულიად არა სწერია აი მაგალითად, რაც ზიარების წესი, არამც თუ მისპობას არამედ უფრო გავრცელდეს და ჩვენთვისაც ქანქა-

რის მხრით ხელსაყრელი იყოს, გავაძლეთ პარტიში, გავადილოთ საზიარებელი უარყოფითი შეგ ნახევარი ბოთლი თუ არა, ერთი ჩაის ქიქა მიინც ჩადიოდეს. თითო მაზიარებელს ეს პარტია მივაწოდოთ და ამა ნახეთ, ამ ღვინის საზოგადოო აკრძალვის დროს, როდენი ხალხი დაგვეხვიოს ქალაქში პური არ იშოვენება, გავადილოთ ეკლესიის პარტიაც, თითო კაცს, ერთი ნამცვეის მაგიერ, სამ სამი გირვანქა სეფისკვეროს ნატები ვაძლიოთ და ვეპ, ეკლესიაში ტევაც არ იქნება.

ქალაქში წყალის ნაკლებობაა, მის ხალხი არამც თუ ტანისსაბანათ, არამედ სასმელადაც ვეღარ შოვობს. გარდაცქმნათ ნათლის წესი, ვსთქვათ რომ იგი სარწმუნოებაში ჰიგიენური მოსაზრებითაა ჩატანელი. ემბაზის მაგიერ ეკლესიებში ვანები დავდგათ და არამც თუ ბავშებს, დიდებსაც მოგვანათლინებენ თვეში ორჯერ მიინც! რომელი ახალი მთავრობა დაგვიკავებს ღვინოს ზიარებისათვის, პურს ეკლესიისათვის, წყალს ნათელისათვის და თუ ყოველივე ეს ჩვენ ხელთ იქნა ქანქარიც მოვა. ასე ამ გვარად შეგვიძლია მივეშველოთ ხალხს და მისი მდგომარეობაც ჩვენ სასარგებლოდ გამოვიყენოთ. სულის მოსახსენებელ წირვებში და საკურთხში შეიძლება დროთა ვითარებისათვის შემდეგი რეფორმა მოხდეს. ძველი წესით მხოლოდ ცხვირის დაკურთხება შეიძლებოდა. ახლა კი ხალხს თავისუფლება მივსცეთ და დავაკანონოთ, რომ ყოველივე საქმელად შესაწინარებელ ცხოველის მორთმევეც შესაძლებელია— ვსთქვათ რომ ამიერიდან მიცვალებულს დაეკვლის თხა და ღორიც, ხოლო სასმელად ღვინის მაგიერ მიერთმევის: არა ყი, კონაიკი, ლიქორი, ლუდი, ლალიძის წყალი და ყოველივე სითხე „რომელი ახარებს გულს კაცისას“.

ხოლო ამ ახალი სანოვაციის მოპოვების, მისი ერთი ასად გასაღების და ულუფის გაყოფის წესი ეხლავე შევიმუშაოთ. აი მაგალითად, საკურთხზე მოიტანეს შემწვარი გოჭი, ან მოზრდილი ბურაკი, წვენი. თავი, სათბილო, გვერდები და ბეჭები მღვდელს, ქლიკები, და შიგანი მთავარ დიაკონს, წვენი მღვდელთან, ხოლო თვეში მისაწყებად დანარჩენ კრებულს. (უკეთო თევში მისაწყებად გადაარჩეს-საკურთხის მომტანს დაეთმოს) თუცა ასეთი განაწილების პროექტი ყოველ თანასწორო-



პროზა

ბის და დემოკრატიული პრინციპების წინააღმდეგ გი იყო, [იგი ყველამ ერთხელ მიიღო, რადგან პროტესტის განმცხადებელი, ამ შემთხვევაში ჩაგრულნი მათვარ დაიკვანი, მეღაიონე. და საკუთხის მომტანი კრებაზე არ იყენენ.

ახლა რეფორმების საღვთო წერილით დასაბუთება ისევ მომხსენებელს მიეწია. დამსწრენი დღი კმაყოფილნი იყვნენ, მხოლოდ ზოგაერთს ახალი მოსახსენებელი სიტყვები ეხამუშებოდა. „პური და ღვინო ახარებს გულსა კაცისასა“, „ზვარაკი ჰამებულ“, „ეთიარცა ცხოვარი კვლავ მიოგვარა“ ყველასათვის ჩვეულებრივი იყო, მაგრამ ვერ წარმოედგინათ, როგორი გასაკონი იქნებოდა: „კატორბე უფალო თხი ესე“, „ესხოვენ უფალო და შეიწყალო გოქითა ამით მონა ღვთისა ესე და ესე“, „ხსილი არაყითა, კონიაკითა, სპირიტითა, ლაღისი წყალითა“.

ზოგმა ეს ახალი ფრაზები რუსულადაც სინჯა: „ბლაგოსლოვი ღოსლოდი კოხლიკა სეღო“, „ვო სპასენიე დუში რაბა ტვოელო (იმის რეკ) პრიმი ბოეე სენიიუ სიუ“. ერთმა მთავარ დიკონმა ეს ფრაზები ხმის აწოდებთადაც გაზომა: „ღაიე, ვლადიკო პატ კოპეეკ ნავოტი ი ნა გრუშევიო მიტროფანა ლაგიძეეე! ეს უკანასკნელი სიტყვები ჩინებული გამიჩადა. მის ზემოხსენს და ღორის საღვთო წერილში ჩამატება ბერის უბრალო ხალხისათვის სახიფათოთ მიანდა. კრების კეთი ყოყმანი ისევ მომხსენებელმა გაფანტა.

წმ. დანო მამანო, საღვთო წერილში ყველაფერი სწერია, ასე რომ შეგვიძლია თხაცა ესთქვათ და ღორიც. „ეთიარცა მწყემსან განყოს ცხოვარნი თიკანთავან“, თიკანი კი პატარა თხას ჰქვია. სახარებაში ღორიც სწერია: „და იყო მუნ კოლტი ღორთა“ მნასადამე გაუმარჯოს ცხოველთა მოროსაც თავისუფლებას, გაუმარჯოს მათ სასაკუთხო თანასწორობას, გაუმარჯოს ახალ ულუფას თხას და ღორს! დარბაზში ასე რომ ვთქვათ, თხისა და ღორის ატმოსფერა დამყარდა. ყველას ელანდებოდა ან თხის ან ღორის ულუფა. აქა იქ ამ ცხოველთა ხმებიც ესმოდათ.

კოტა ხნის შემდეგ დარბაზში უცნაური დასაბატეებელი ბარათი შემოიტანეს. „ამა და ამ დღეს თბილისში გაიმართება პირველთა განახლებულ ხანაში სინდისის თავისუფლების საღამო.

კ. ფოცხვერაშვილი წაიკითხა შემდეგ თემაზე: „მართლმადიდებელი სარწმუნოება და დემოკრატიული რესპუბლიკა“.

ამ ბარათის წაიკითხვავ მთელ კრებას გული წაუვიდა და იატაკზე პრაზხანი ვახდა დარბაზი წყვილიადა მოიკცა და კედელზე კინემატოგრაფისებური წარწერა აღიბეჭდა: „ვინა ისეთი გულუბრყვილო, რომ ამთ სინდისის თავისუფლების საღამოზე იწვევსო“.

წარწერა განქრა და ორი მღვდელიც გონს მოვიდა. მათ უცხათ ოღრები გადაიკიდეს და ლოცვა-შეჩვენებას მოჰყვენ. „დაგვიცეე ჩენ უფალო ეშმაქისა შუადღისა და ყოველი სინდისის თავისუფლების საღამოაგან“ ამ ლოცვამ კოტა არ იყოს გასქრა, წმიდა მამები ოდნავად გონს მოვიდნენ, და წამოაჯდნენ.

— ვინ ეშმაკება ეს კოტე ფოცხვერაშვილი?  
— რა უბედურების ნიშანია სინდისის თავისუფლება?  
— რაც უნდა იყოს გვეპატეებიან და უნდა წავიდეთ.

— არას დროს, განა სხვა ათას გვარი თავისუფლება არ კმარა ჩვენ შესაწუხებლად?

— ამანაგებო და პროლეტარებო,—ღაიწყო ერთმა—მე კარგით ვიკნობ კ. ფოცხვერაშვილს, იგი მღვდლის შვილია, სასულიერო სემინარია აქვს დამთავრებული და ჩვენ საწინააღმდეგოს იგი არაფერს იტყვის—წინააღმდეგ, მე ღრმად დარწმუნებული ვარ, იგი ჩენი პარტიის უნდა იყოს ან კიდევ რამ შეგაშინათ. ესლა ყველაფერი უკუღმა გადატრიალდა, კეთილი ბოროტად გარდქმნა და ბოროტი კეთილად. ესლანდელი სიტყვა სანიდისი აღბდა უსინდისობას ნიშნავს და აი ჩენი მოძმე და ქომაგი კ. ფოცხვერაშვილიც შეგლას გვიპირობს, სურს განამტკიცოს ჩენი უსინდისობა, წავიდეთ ყველანი, წავიდეთ.

— სცდებით, მეგობრებო, სცდებით,—წამოიჭრა მეორე.—კ. ფოცხვერაშვილმა სემინარიის მერე უნივერსიტეტშიც გაათავა, იგი ხეირიანს არას გვიზადებს და თუ თავის დადებუვა არ გინდათ, არ გაბრიყვდეთ. სიტყვა სინდისი, ჩემის აზრით, დასძინა მესამემ, ქართულ ენაში რუსულიდან უნდა იყოს გადმოტანილი და თუ ყურს ვახოვებთ თანამედროვე ფილოლოღის უნდა ნიშნავდეს სულ

სხვას, ვინემ ეს თქვენ გგონიათ. „სინია“ — და „დისი“ პირველი უნდა ნიშნავდეს დღევანდელ ჩვენ საკურთხის სარეფორმო ცხოველს: „სინია“ ს. ე. ი. ღორს, ხოლო „დისი“ ქართულია და აიხსნება ამ გვარად: „დი — სი“ დი, ეს შემოკლებულია „დიეკურთხება“ ე. ი., დაეკურთხება. სი — კურთხის ანუ საკურთხის ყველა ერთად კი ასე გამოდის, ქ. ფოცხვერაშვილს სურს დაამტკიცოს, რომ სინია, ანუ ღორიც დაეკურთხების საკურთხის ოცდა ხუთ მაისს, თფილისის კონსერვატორიის დარბაზი სინდის-უსინდისობის უცხო სანახაობას წირმოადგენდა. საღამოს გამწყობთ სინილის დღეიწყობადთ, აფიშები და გაცხადებები არ გამოეწვით, რის გამო ხალხი ბოლომდე ვერ დაესწრო, მაგრამ ვისაც ზეპირ გადმოცემით გაეგოთ, ისინიც კმაროდნენ. ყურადღებას იქცევდნენ ვასათხოვარი და დიდი ხნის გათხოვილი ქალები.

პირველთა ინტერესებოდათ სამოქალაქო ქორწინების წესი, ხოლო მეორეთ ძველი ცოლქმარობის გათიშვის თავისუფლება.

იყვენ ახალ მოდის ჯიბეგირები, რომელთაც სურდათ დაესაბუთებიათ სინილის თავისუფლების მიხედვით თავიანთი ხელობა. იყვენ ძველ რეტიმისაგან ახალ თაობაში ვიდმოსული და ვასიკალინისტებული პირები, სპეკულიანტი ვაჭრები, ინტენდანტები, კონტრა-რეფოლსუციის მომხრენი და სხვანი და სხვანი.

ყველაზე უფრო საესკოვო სანახაობას წირმოადგენდა სამღვდლო პირები. მათ ინტერესებდათ ახალი ულუფის გაყოფის წესები და რადგან გაეგონათ, რომ ფოცხვერაშვილი თავის ლექციებს ასაბუთებს და ხნის შესაფერი მაგალითებით (ამ შემთხვევაში თბის და ღორის ხორცი) მოსალოდნელი ულუფისათვის აბგები ხურჯინები და ტომრებიც თან წამოეღოთ.

დაპკრა რვა საათმა და იმისთანა თქვენ მტერს აულტორიამ მოხსენება გაიგონა.

ქ. ფოცხვერაშვილი „უსინდისოთ და უზრდელად“ უარპყო ჩვენი ძველი დახასტებული სარწმუნოება, რომელიც მომხსენებლის ახრით იგივე რწმენათა სფეროში, რაც სინამდვილეში იყო უკვე დაშობილი თვითმპყრობელობა. მომხსენებლის სიტყვით დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიძლება შეწყნარებულ იქნას მხოლოდ იდეა, მსაფლიოს მამოძრავებელი ძალისა, რომელსაც ადამიანთა გამოთქმით სხვათა შორის ღვთაებაც ეწოდება. მხოლოდ ამგვარის ღვთაების და ადამიანთა ურთი-

ერთობა-კავშირის გამოკვლევით შესაძლებელი იქნება განახლებულ კაცობრიობის ~~საზღვრის~~ მართლმადიდებლობას და მის განმსახიერებელ კულტს მომხსენებელი სხვას, როგორც ნამდვილ ბურჟუაზიულ რელიგიას, რომელიც სრულიად არ შეფერება დემოკრატიას და მოუწოდებს ამ უკანასკნელს ეს მონობის ბორკილებიც დაგლიჯოს... დარბაზში მზურვალე ტაში მოსმის, სამღვდლოთა პირნი აღმუთებულნი არიან, ფეხების ბრახუნით პროტესტს განაცხადებენ და იატაკზე აბჯა-ხურჯინებს აფართხუნებენ. რომელიმენი დარბაზიდან სირცხვილელუ ილტვიან, ხოლო რომელიმენი ხმითა დღითა წარმოსთქვიანენ ანათემას და ექსორიასა. აქა იქ ხმები გაისმის: „ანტიქრისტია მავ, წყეული“. ამ შრს ისიც ამტკიცებს, რომ ფოცხვერაშვილი ანტიქრისტისავეთა მალაია. სდგება კომისია, რომელმაც დანარჩენი სანტიქრისტო იმწმენი უნდა შეუმოწმოს ქ. ფოცხვერაშვილს: ეშპაკისაგან ჩამომავლობა, და შუშის კანქები. დღვლები ლოცვად სდგებიან. გროვდება დიდი გუნდი, რომელიც ერთი მხრით ქართლ-კახურ კილოზე ხოლო მეორე მხრით დუმბაძის კილოთი საგალობოთ ემზადება. საერთო არეულობა და მწუხარება, ვითარცა იტყვის წერილი: „და იყო მუნ დრტინვა საშინელი, ტირილი და ღრჯენა კილთა. მდგომარეობას გუნდის რიგრიგი ვალობა სკლისს: სთქვა უგზუმან გულსა შინა თვისსა. არა არს ღმერთი, განირყნეს და ბილწ იქნეს საქმენი მისნი... კბილნი ცოდვილთანი შენ შემეუსრნე...“

ჩავამტერიოთ, კბილები ჩავამტერიოთ, მაგურწმუნოს, ქვით ჩაქელოთ. ძირს თავისუფალი სიტყვა, გაუშარჯოს ძველ მოძღვრებას გაისმოდეს მღვდელთა ბანაკიდან, მაგრამ რადგან კბილებს ჩამტერვა, ქვით ჩაქოლვა და საზოგადოთ სიკვდილით დასჯა ხუცესებისათვისაც აკრძალული აღმოჩნდა, ამისათვის სხვა ხმები გაისმა: სიტყვით გავამტყუნოთ, საცო დავსდგათ მაგის ცოდვლ ბაგეს, ვგრე სირცხვილელუ ვყოთ, ვგრე!

საზოგადოებამ მოითხოვა კამათი, რომელშიც დაპირებისამებრ მონაწილეობა უნდა მიეღო: ს. აბაშელს, ა. ახმეტელაშვილს, ვ. ბურჯანაძეს, ი. გამართელს, ს. დადიანს. ქ. მაყაშვილს, პ. ბიბიანიშვილს და ჩხვიძეს, მაგრამ რადგან ამათში ყველა სინდისით იმ ზომ დამძიმებული აღმოჩნდა, (გარდ-



პ. მირიანაშვილსა) რომ კრებაზე არავინ გამოცხადდა, კამათი შემდეგისათვის ვადიდო. (სინდისისგან დამშინებულთა აღმოჩნდა და კამათზე არ გამოცხადდა თვით ი. გომარათელი ამბობენ ეს მარცხი გომარათელის ი. იმედაშვილის სახსლოვით მოუვიდაო. თანახმად ზურგილიძის აფორიზმისა „ივანე იოსებთან დააბი, ან ფერს იცვლის ან სინდისსა“.)

კამათი დაინიშნა ოთხ: ივანისათვის, რომელზედაც კ. ფოცხვერაშვილის ოპონენტად ხუცების მხრით გამოვიდა დეკანოზი ვინმე. დეკანოზი ნაშლევი ბუცუქი კალთაში ამეტყველდა — ფიქრობდა ერთს, ბაგენი მისი კი იტყუადენ სრულიად სხვას, ხოლო ორივე ერთად კი ასე გამოდიოდა ბურჟუაზიულ ლევისმეტყველობის მიერ დამახინჯებულ ქრისტიანობას დიდი ღვაწლი მიუძღვის კაცობრიობის წინაშე. ამ სწავლა-მოძღვრებამ დაადასტურა ზეციური და ქვეყნური თვითმპყრობელობა, ბატონყობა, ომიანობა, მუშის გაყვლედა, სიკვდილათ დასჯა, თავისუფალი აზრის დევნა, და სხვა, და სხვა... თუ თვით ზეციური სამეფო თვითმპყრობელობის ფორმაშია ჩამოყალიბებული, განა შეიძლება ქვეყნად უკეთესი რამ გამოვიგონო? მამა ღმერთი — ეს თვითმპყრობელი მეფე, ძე და სულიწმიდა — ესენი ტახტის მემკვიდრენი, ცხრა რიგი უფროს უმცროსი ანგელოზებისა — ეს მაღალი მოხელენი, მარია დედოფალი — ეს სინოდის ობერპროკურორი, თერთმეტი მოციქული — ეს მინისტრთა საბჭო (მათში პეტრე ჯერჯერობით პრემიერად ითვლება) დანარჩენი წმიდანები — ეს წვრილი მოხელეები.

ზეცაში უსათუოდ არსებობს ბატონ ყმობა, მშ ქვეყნადც ესეთივე უნდა არსებობდეს. ზეცაში მუდმივი შური და მტრობა არსებობს ღვთის და დემონის შორის, მშ ქვეყანაზედაც ასე უნდა იყოს. თვით მაცხოვარმა ჩამოვიტანა ქვეყანაზე ეს ღოზუნგი და გვითხრა: „ნუ გგონიათ, რომ მშვიდობიანობის დასამყარებლად მოვედი ქვეყანაზე, მშვიდობა კი არ მოვიტანე, არამედ მახვილიო“ (სახ. მათის თ. 10. მუხ. ვყ). საღვთო წერილში სწერია, ოფლითა შენითა სქამდე ჰურსა შენსაო, და ჩვენც ვამბობთ, რომ ოფლის ღვრა აუცილებელი საჭიროა. ბურჟუაზიას, როგორც მსუქან პირიყენებას ოფლი თავისივედ სდის, ხოლო მქლე მუშამ ეს ოფლი შრომით და ჯაფით უნდა გაიღოს.

„მუშამ უნდა იშრომოს, ვინაჟამუნა მშრომის სხვას მისცეს, თორემ იგი გამდიდრდება და წაყდება, რადგან სახარებაში სწერია, აქლემისთვის უფრო ადვილია ნემსის ყურწმი გაძრომა, ვინემ მდიდრის საშობებში შეხვალო. მუშამ თავის ნამუშევარს ორი მანეთში ერთი მანეთი ხაზინის უნდა მისცეს, რადგან უმისოთაც წაყდება ვითარცა წერილიარს; რომელსა აქვნდეს ორი ხელი ტანთსაკმელი (ამ შემთხვევაში ორი მანეთი) ერთი სხვას მიეცეო, ხოლო ბურჟუაზიას, რომელსა აქვს (ქნქარი) მიეცეს და მიემატოსო, სთქვა მაცხოვარსა.“

ბევრს აღარ განვაკრძობ ბურჟუაზიული ქრისტიანობა შეთაქრია მრავალი სისხლის მღვრელი ომებისა, მოქალაქეობრივი სისხლის ღვრისა, ებრაელთა დევნისა, ერტიკოსთა და თავისუფალი მოაზროვნეთა წამებისა და უშთავრესად, ეგრედ წოდებული ინკვიზიციის და აუტოდაფეებისა, რომელთა ანთებულ კოცონებზე ქრისტეს სახელით აწამეს და დასწვეს ნახევარ მილიონზე მეტი თავისუფალი მოაზროვნე ქრისტიანი დღევანდელი სამღვდლობაჯვართი მიუძღვის წინ საშინელ სისხლის ღვრას. ახლო წასულში ბურჟუაზიული ქრისტიანი, მღვდლები სახარებელთაზედაც მიაცილებდნენ ხალხის საუკეთესო შვილებს. ასეთია საერთოდ ბურჟუაზიული ქრისტიანობა, და განა შეიძლება მისი ძირიან ფესვიანად გადაქნა, რომელსაც ანტექრისტე ფოცხვერაშვილი მოითხოვს?

გაუმარჯოს ახალ მთავრობას და ძველ ბურჟუაზიულ სარწმუნოებას! (დამსწრეთა შარის, ბურჟუაზიი ცხარე ტაშსა სცემს. ღამის თორმეტ საათთა კ. ფოცხვერაშვილი საპასუხოდ ეშხადება, მგარამ დავიანებული ღვრის გამო კამათი გადაიდება)...  
ღლაფი.

### სუცნება უთხრა

- ხუცესმა უთხრა ხუცესსო: — აღბი არის რუსეთსო.
- წაფლ და მოვიანდირბე არ ამატიყებს მუცელსო



# აქეთ გორასა

# ხუცესმა რომ ხუცესს ლექსი ეწერა

აქეთ გორასა წიხსა ვკრავ,  
იქით გორასა ძრას ვუხამ:  
ილიპის ძროხის, შემწვარისა,  
ღვთაყულებ და ყლას ვუხამ.


## ალილოუია.

ალილოუია ხუცესო,  
კოკორს რა უშავს უტრელსო,  
ცხვარი ხომ მთელი მოგართვი,  
სარტყელი უშვი მუცეოსო.

ეს ჩვენი სოფლის ხუცესი, საქმეს კარგად აჩვენებდა, შედის, გამოდის ხუცესში, უკვლას მოაქრათხუცესო. გამოვა, სადაღს აშაღებს, ცრუმოწმით განაძღვებსო, მართლს ამტყუენებს, მტყუანს-კი სიმტყუენს ადღვებსო. ქრთამში ღვინოსაც აიღებს, ქეიფსა იმზავლებსო, წაგა მრეულს, გოგოს შინასავსე კისრად ხელს მოავლებსო, შინ წამოიუფანს მსახურად, უსაში ისახლებსო, ამაზე ცილი შერისხავს, მაშინ შირს სახლებსო, აქან გაუბებს მეუღლე, ხელსაც კი შეახლებსო, გაფაურებული ხუცესი, სულ სხვა ქანს მიაგვლევსო, რომელმაც დაამუღა: შე მოვიმართავ ხელსო გასმეგ და გაჭმეგ სძღომად სულ ხონობსა და მწერსაო ქეიფში მოვა ხუცესი, გადაეხვევა უღვლსო; ამოიარს დააუარის სიუხვით, როგორც ნიაგი ბჰესაო. „ღამისთევითა ღოცულობს“ უფავს აუკდრებს მრეულსაო.

ჩაწერილი დურბინდის მიერ.

## სიტყუა სხუა, საქმე სხუა



მოსრნე უფოლო მტერნი ჩვენი, წარწყმინდე ყოველი მიმოფიცებულნი ულუფვისა ჩემსა.

დიდება მაღალთაშინა ღმერთსა ქვეყანასა ზდა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება.